ბ-ნ დ. გოგიჩაიშვილს

[redacted]

თხოვთ განიხილოთ და წარმოადგინოთ თქვენი დასკვნა კომისიის გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის თაობაზე

ვ. აბაშიძე
18.01.2017წ.

შპს "მაგთიკომი"
№ 17/01/18-7
18. 01 2017 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ბატონო ვახტანგ,

მიმდინარე წლის 11 იანვარს მოგმართეთ N17/01/11-3 წერილით შპს „მაგთიკომის“ 2016 წლის 1 აგვისტოს მოწვევის ოფერტაში (ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება) შესატანი ცვლილების თაობაზე.

წინამდებარე წერილით გიგზავნით მოწვევის ოფერტაში შესატანი ცვლილების შესწორებულ ვერსიას. ოფერტაში შეიცვლება 4.6 პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მაგთიკომთან ურთიერთჩართული პირები, რომელთაც სურთ მიიღონ საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურება, ვალდებულნი არიან, წინასწარ ჩარიცხონ მაგთიკომის ანგარიშზე სა გარანტიო თანხა ან წარმოადგინონ საბანკო გარანტია, იმ ოდენობის თანხაზე, რომელიც ტოლია ერთი თვის განმავლობაში საერთაშორისო ზარის დასრულებისათვის დადგენილი საფასურისა.“

მოგმართავთ თხოვნით, ზემოაღნიშნული ცვლილება გამოაქვეყნოთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე.

ცვლილება ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე გია კოშორიძე

MAGTICOM LTD 204876606 GEORGIA

26/456.17
18.01.17